პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 236 (6291)

1978 წ. 3 დეკემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭადრაკი

შედგა I ტურის შეხვედრები. რომანიშინმა მოუგო [illegible] იმზე შეთანხმდნენ ბაგიროვი — გულკო, მაკარიჩევი — [illegible], პოლუგაევსკი — რაზუვაევი, ტუკმაკოვი — გიორგაძე, კუზმინი — ტიმოშჩენკო. გადაიდო გელერ — კასპაროვისა და ტალ — დორფმანის პარტიები. ცეშკოვსკი — სვეშნიკოვის შეხვედრა არ შედგა.

დღეს, 3 დეკემბერს გაიმართება II ტურის შეხვედრები.

●

# წილისყრა

სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) გახსნაზე ჭადრაკის სასახლეში ბევრი თბილისელი შეიკრიბა. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მონაწილენი იყვნენ.

სტუმარ-მასპინძელთა გამოსვლების შემდეგ შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვ. მიკენასი აცხადებს შეჯიბრების რეგლამენტს. იგი ხაზს უსვამს, რომ I-IX ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ითამაშებენ 47-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, X-XV ადგილებზე გასულნი — პირველ ლიგაში, ხოლო XVI-XVIII ადგილებზე დარჩენილნი თამაშს საკავშირო მასობრივი ტურნირიდან დაიწყებენ.

შემდეგ იწყება წილისყრა. სცენაზე ადიან საბჭოთა ხალხების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები. არჩეულ ნომრიან კონვერტთან ერთად ისინი მოჭადრაკეებს სვანურ ქუდს, თბილისურ ტკბილეულსა და წითელ მიხაკებს გადასცემენ. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მოჭადრაკეს დააგვიანდა თბილისში ჩამოსვლა, ამიტომაც ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა მ. ჩიბურდანიძემ კენჭი იყარა დიდოსტატ მ. ტალის მაგიერ, ჭადრაკის სასახლის დირექტორმა ლ. წეროძემ — დიდოსტატ ო. რომანიშინის ნაცვლად...

დამსწრენი ტაშით შეეგებნენ ჩემპიონატის ყველაზე უმცროს მონაწილეს, 15 წლის გ. კასპაროვს, როცა მას წილისყრისას ცხრილის მე-15 ნომერი შეხვდა.

ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი საღამო დასრულდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფიზკულტურული კოლექტივებს შორის თბილისის ჩემპიონის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის მოჭადრაკეთა გუნდის წევრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლამარა ჭყონიამ.

თ. ნინოშვილი.

• • •

სურათებზე: ჩემპიონატის საზეიმო გახსნა; ლაპარაკობს ვ. მიკენასი; მ. ჩიბურდანიძე წილისყრისას; წილს იყრის გ. კასპაროვი.










ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# უძლიერესთა მონაწილეობით

### 5 დეკემბერს, თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ხელბურთელ ვაჟთა XII საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

●




1966 წელს თბილისის სპორტის სასახლეში პირველად გაიმართა ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

ტურნირი ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იგფ) კალენდარში შეიტანეს და იგი ტრადიციული გახდა — იმართება ყოველ წელს (გარდა 1974 წლისა) ნოემბერ-დეკემბერში. როგორც წესი, თბილისის ტურნირში ევროპის უძლიერესი გუნდები გამოდიან — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. 11 წლის მანძილზე ჩვენმა მაყურებელმა მსოფლიოს არაერთი სახელგანთქმული ოსტატის თამაში იხილა.

გამონაკლისს არ წარმოადგენს წლევანდელი გათამაშება, რომელშიც გამოდიან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იუგოსლავიის გუნდი, მონრეალის ოლიმპიური ჩემპიონი სსრ კავშირის ნაკრები, საკავშირო იუნიორთა ნაკრები და საქართველოს ნაკრები, რომელიც, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის თასის მფლობელის თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული.

შევახსენებთ თბილისის ტურნირების პრიზიორებს: 1966 წელი — უნგრეთი, იუგოსლავია, სსრ კავშირი; 1967 წ. — უნგრეთი, იუგოსლავია, სსრ კავშირი; 1968 წ. — სსრ კავშირი, პოლონეთი, საქართველო; 1969 წ. — სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები; 1970 წ. — იუგოსლავია, საქართველო, გფრ; 1971 წ. — გდრ, რუმინეთი, იუგოსლავია; 1972 წ. — სსრ კავშირი, გდრ, ჩეხოსლოვაკია; 1973 წ. — სსრ კავშირი, გფრ, იუგოსლავია; 1975 წ. — სსრ კავშირი, იუგოსლავია, პოლონეთი; 1976 წ. — სსრ კავშირი, გდრ, პოლონეთი; 1977 წ. — სსრ კავშირი, იუგოსლავია, რუმინეთი.

ო. ოთარაშვილი.

გთავაზობთ XII საერთაშორისო ტურნირის კალენდარს:

5 დეკემბერი — 17.00, სსრკ — სსრკ (ახალგაზრდული); 18.30, რუმინეთი — იუგოსლავია; 19.45, ტურნირის საზეიმო გახსნა; 20.00, საქართველო — ჩეხოსლოვაკია.

6 დეკემბერი — 17.00, სსრკ (ახალგაზრდ.) — ჩეხოსლოვაკია; 18.30, სსრკ — რუმინეთი; 20.00, იუგოსლავია — საქართველო.

7 დეკემბერი — 17.00, რუმინეთი — სსრკ (ახალგაზრდ.); 18.30, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია; 20.00, საქართველო — სსრკ.

8 დეკემბერი — დასვენების დღე.

9 დეკემბერი — 17.00, სსრკ (ახალგაზრდ.) — იუგოსლავია; 18.30, სსრკ — ჩეხოსლოვაკია; 20.00, საქართველო — რუმინეთი.

10 დეკემბერი — 12.00, ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი; 13.30, იუგოსლავია — სსრკ; 15.00, საქართველო — სსრკ (ახალგაზრ.); 15.45, შეჯიბრების დახურვა.

# სტარტი

## ჭადრაკი

ფრუნზე, 2 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც კორ.). გუშინ ყირგიზეთის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა მსოფლიო პირველობის 1978-1981 წლების ციკლის საბჭოთა ზონალური ტურნირი. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა — საერთაშორისო დიდოსტატმა და არბიტრმა კ. ზვორიკინამ (მინსკი) მონაწილეთა წილისყრა ჩაატარა:

1. ნ. იოსელიანი (თბილისი), 2. ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), 3. ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი), 4. ლ. ზაიცევა (მოსკოვი), 5. მ. რანიკუ (ტალინი), 6. ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), 7. ტ. მოროზოვა (ოდესა), 8. ლ. ბელავენეცი (მოსკოვი), 9. ტ. ფომინა (ტალინი), 10. მ. ლიტინსკაია (ლვოვი), 11. ტ. ჩეხოვა (მოსკოვის ოლქი), 12. ლ. ლისენკო (კიევი), 13. თ. ხუგაშვილი (თბილისი), 14. ლ. სემიონოვა (კიევი), 15. თ. ვორონინა (ნაბერეჟნიე ჩელნი), 16. ნ. გურიელი (თბილისი).

ფიდე-ს გადაწყვეტილებით ამ შეჯიბრებიდან საზონათშორისო ტურნირის საგზურებს მიიღებენ I-V ადგილებზე გასული მოჭადრაკეები. თუ რამდენიმე მონაწილემ ქულათა თანაბარი ჯამი მოაგროვა, საზონათშორისო ტურნირის საგზურის გასაცემად ყოველი ადგილი გაირკვევა გამარჯვებათა რაოდენობით, ან მეტოქეთა შორის პირადი შეხვედრის შედეგით, ანდა პირადი კოეფიციენტით.

შეჯიბრების რეგლამენტით გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა ყოველი სამი ტურის შემდეგ. 30-ე სვლამდე აკრძალულია ყაიმზე შეთანხმება მთავარი მსაჯის ნებართვის გარეშე.

გ. მაჭავარიანი.

## ჩოგბურთი

სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მელბურნში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშებაში დაამარცხა რუმინეთის გუნდი (3:0) და ნახევარფინალში გავიდა.

ანგარიში ქვეყნის ჩემპიონმა, მოსკოველმა ნატალია ჩმირიოვამ გახსნა, რომელმაც დაამარცხა ფლორენცა მიხაი — 8:6, 6:4. ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონის ოლგა მოროზოვას მეტოქე იყო ვირჯინია რუჟიცი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შედის. მოსკოველმა ჩოგბურთელმა მოიგო პირველი პარტია — 6:4, ხოლო მეორეში, როდესაც ანგარიში იყო 4:4, რუმინელმა ტრავმის გამო ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება.

მატჩის საბოლოო ანგარიში „დაადგინა" წყვილთა შეხვედრამ, რომელშიც ჩმირიოვამ და ელენე ელისეენკომ (დონეცკი) დაამარცხეს მარიანა სიმონესკუ — ლიუჩია რომანოვას დუეტი — 6:4, 6:4.

ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრები ავსტრალიის გუნდს შეხვდება.

აი დანარჩენი მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგები: ავსტრალია — ჰოლანდია — 3:0, აშშ — საფრანგეთი — 3:0, ინგლისი — ჩეხოსლოვაკია — 2:1.

# მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

# წყალბურთელებს — დახმარების ხელი

## ჟამი ფიქრისა და განსჯისა

**რამდენ** დიდი იყო ქართველ სპორტის მოყვარულთა სიხარული, როცა 1955 წელს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდმა ბრძოლით გაიკაფა გზა უმაღლესი ლიგისკენ. სწორედ იმ დროიდან დაიწყო ჩვენი უპირველესი გუნდის წარმატებები. საბჭოთა ქვეყნის სამ უძლიერეს კოლექტივს შორის მუდამ ვხედავდით ჩვენს დინამოელებს. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაშიც იშვიათი როდი იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომელთა შესაშურ ოსტატობას ტაშს უკრავდნენ მელბურნის, რომისა და მეხიკის ოლიმპიურ აუზებშიც.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები, რომელიც ფაქტიურად თბილისის დინამოელებით იყო დაკომპლექტებული, ასევე ყოველთვის იკავებდა ადგილს საკავშირო სპარტაკიადების საპატიო კვარცხლბეკზე. ასე იყო პირველიდან მეოთხე სპარტაკიადამდე. შემდეგ კი, სამწუხაროდ, სურათი შეიცვალა. ჩვენი გუნდი თანდათან ჩამოშორდა მოწინავეთა რიგებს და საშუალო გუნდად იქცა.

მიზეზი?

— წინათ, როცა მთელ საბჭოთა კავშირში საცურაო აუზებს თითზე ჩამოითვლიდა კაცი, შედარებით იოლი იყო ფონს გასვლა. შემდეგ სხვა რესპუბლიკებში სოკოებივით მომრავლდა საცურაო აუზები, ჩვენთან კი ეს საქმე კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. ასეთ პირობებში ერთობ ძნელია ნიჭიერი, პერსპექტიული წყალბურთელების აღმოჩენა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ვარჯიშის პირობები დღესაც ძალზე სავალალოა. ერთადერთი გუნდი, რომელიც წვრთნის პირობებს ასე თუ ისე არ უჩივის, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობაა. დანარჩენები კი საცურაო აუზებში გერებივით არიან: მაშინ ვარჯიშობენ, როცა აუზი მოცურავეებისგან თავისუფალია, ასეთი დრო კი, მოგეხსენებათ, იშვიათია. სწორედ ამიტომაც ვერ იღებს თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა სრულფასოვან შევსებას. დებიუტანტთა მომზადების დონე აშკარად ჩამორჩება უმაღლესი ლიგის ბინადართა ოსტატობას, ფიზიკურ განვითარებას, ტაქტიკურ აზროვნებას, — გვითხრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა მწვრთნელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. სანაძემ. სხვათა შორის, სანაძე სათავეში უდგას საქართველოს ნაკრებსაც, რომელიც ახლა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის ემზადება. ვინაიდან ჩვენი დღევანდელი სტატიაც საბჭოთა სპორტსმენების მომავალი დიდი ფორუმისთვის საქართველოს წყალბურთელთა სამზადისს ეძღვნება, კიდევ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით თბილისის „დინამოზე“, რამეთუ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები, ფაქტიურად სწორედ თბილისის „დინამოს“ კოლექტივია.

**დინამოელთა** გუნდის ძირითად შემადგენლობაში არიან: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ნოდარ კურტანიძე და ვლადიმერ ისელიძე, სპორტის ოსტატები — მიხეილ გიორგაძე, გელა ტუკვაძე, გიორგი ზუმბულიძე, დავით რურუა, ვალერი არუთინოვი, გიორგი კოღუაშვილი და გიორგი დოლიძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატები — ზურაბ ქოიავა, ზურაბ ხეცურიანი, თამაზ კუტივაძე და დევი გვახარია. მათგან გიორგაძე სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატია. წლეულს იგი ევროპის ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის. იუნიორთა ნაკრების წევრები არიან კუტივაძე და ტუკვაძეც. ჩვენი გუნდის საშუალო ასაკს ჯერ 21 წლისთვისაც არ მიუღწევია და უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივია.

როგორც ვთქვით, თბილისის დინამოელები წვრთნის პირობებს არ უჩივიან. ისინი ჯერ თბილისში, ვაკის საცურაო აუზში ვარჯიშობენ, შემდეგ შეკრებაზე გაემგზავრებიან, ხოლო თებერვალში საკავშირო ჩემპიონატში ჩაებმებიან. ბოლოს სეზონის მთავარი სტარტი — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა გველის...

• • •

ახლა, როცა თბილისის „დინამოს“ ისე უჭირს საკავშირო შეჯიბრებებში, როგორც არასდროს, საჭიროა ჩვენი პირველი გუნდის საუკეთესო წყალბურთელებით დაკომპლექტება. მაგრამ, გვყავს თუ არა სრულფასოვანი რეზერვი? აი, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც პასუხი უნდა გაეცა ახლახანს ვაკის საცურაო აუზში დამთავრებულ საქართველოს წყალბურთელთა ჩემპიონატს. ამ შეჯიბრებების შესახებ ჩვენ თავის დროზე, ოპერატიულად ვაქვეყნებდით ინფორმაციებს და, ამდენად, მკითხველთათვის ცნობილია ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისა და პრიზიორთა ვინაობა. ახლა კი, შევეცდებით ამ შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივების ფონზე გავაანალიზოთ საქართველოში წყალბურთელთა დღევანდელი მდგომარეობა.

შეჯიბრებაში თბილისის ოთხი გუნდის გარდა მხოლოდ ქუთაისისა და ბათუმის თითო გუნდი გამოდიოდა. როგორც ხედავთ, წყალბურთის გეოგრაფია ძალზე ვიწროა.

ახლა საუბარი გვინდა **ქუთაისელი წყალბურთელებით** დავიწყოთ.

აქაური სპორტსმენები ქართულ წყალბურთში მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. საკმარისია გავიხსენოთ გივი ჩიქვანაია, ოთარ მიმინოშვილი, მურად გულედანი... ეს შესანიშნავი წყალბურთელები სწორედ ქუთაისელები იყვნენ და შემდეგ თბილისში განაგრძეს დაოსტატება. უკანასკნელ წლებში ქუთაისიდან მოვიდა აგრეთვე რამდენიმე ნიჭიერი წყალბურთელი, მათ შორის სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი, მეკარე მ. გიორგაძე და გ. კოღუაშვილი, რომლებმაც ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს უპირველესი გუნდის შემადგენლობაში.

ქუთაისელი წყალბურთელები დღესაც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკურ ჩემპიონატში მათ ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვეს და უკანასკნელი ადგილი დაიკავეს.

რა მოხდა?

ვიდრე ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, გავიხსენოთ, რომ ქუთაისელმა სპორტსმენებმა ამ ზაფხულს საქართველოს თასის გათამაშებას უმასპინძლეს და ფინალშიც გავიდნენ. და აი ახლა, შემოდგომის მიწურულს, ქუთაისელთა მოულოდნელი ფიასკო! თუმცა, ვითომ მართლაც მოულოდნელი იყო მათი მარცხი? საქმე იმაშია, რომ ქუთაისელ წყალბურთელებს წვრთნის შესაფერისი პირობები არა აქვთ. თუმცა, ამ ქალაქში საცურაო აუზების შესანიშნავი კომპლექსია. თავის დროზე, როცა ეს კომპლექსი მწყობრში ჩადგა, სპეციალისტები ამბობდნენ, ქუთაისელთა აუზები ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი ქვეყნის ღია საცურაო აუზებს შორისო. მაგრამ, რისი მაქნისია გამოუყენებელი სიმდიდრე? — წყლის გათბობის საქმე ვერა და ვერ მოგვარდა. ბუნებრივია, ცუდადაა ცხელი შხაპით მომარაგების საქმეც. ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ელექტრომექანიკურ ქარხანაზე, რომელიც „განთიადის“ საცურაო აუზების მეზობლად მდებარეობს. აუზების გათბობა ერთხანს... ორთქლმავალს ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ მალე ისიც გამოვიდა მწყობრიდან.

ელექტრომექანიკურ ქარხანაში ორი მძლავრი ქვაბი კარგა ხნის წინათ უნდა ჩამდგარიყო მწყობრში. როგორც მაშინ ამბობდნენ, იმ ქვაბებს თბილი წყლით უნდა უზრუნველეყო არა მხოლოდ საცურაო აუზების კომპლექსი, არამედ იმ რაიონის საცხოვრებელი ბინებიც. მაგრამ ეს საქმე დღესაც ვერ მიუყვანიათ ბოლომდე.

ქუთაისის აუზების კომპლექსის ერთ აბაზანას, ასე თუ ისე, გაპირავებით ათბობენ. იმ აუზში ვარჯიშობენ მოცურავეებიც, წყალში მხტომელებიც და წყალბურთელებიც. წყალბურთელებს 18 საათსა და 30 წუთიდან უთმობენ დროს. ახლა, მოგეხსენებათ, ამ დროს ბინდი წვება. აუზების განათება კი აშკარად არ კმარა. ამას დაუმატეთ სიცივეში აუზიდან ჰაერში ავარდნილი ორთქლი და გასაგები გახდება, რომ „ღრუბლებში“ და ისიც სიბნელეში ვარჯიში შეუძლებელია. როგორც ქუთაისელთა მწვრთნელმა კ. კაზიევმა გვითხრა, მისი აღსაზრდელები, ისე როგორც წესი და რიგია, მხოლოდ კვირაობით ვარჯიშობენ.

აი, ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქუთაისელებმა რესპუბლიკის ჩემპიონატში ერთი თამაშიც ვერ მოიგეს და უკანასკნელი ადგილი დაიკავეს.

ახლა რამდენიმე სიტყვა **ბათუმელ წყალბურთელებზე.** მათ რესპუბლიკის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ქუთაისელ წყალბურთელებთან ერთადერთი გამარჯვებისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან ქულის აღებით. ამ შეჯიბრებაში თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის ნაკრები რომ უკონკურსოდ არ გამოსულიყო, ბათუმელები მედლების გარეშე დარჩებოდნენ.

როგორ შეიძლება შეფასდეს ბათუმელთა ვარჯიშის დღევანდელი პირობები? მოკლედ, მათაც იგივე პრობლემები აწუხებთ, როგორიც ქუთაისელებს: გვიან საღამოს უთმობენ აუზს და აქაც ისევე სუსტი განათებაა, როგორც ქუთაისში.

...როცა წლევანდელი რესპუბლიკური შეჯიბრებების კალენდარი დგებოდა, საქართველოს წყალბურთელთა ხელმძღვანელობამ **სოხუმელთა გუნდიც** ჩართო ასპარეზობის მონაწილეთა სიაში. ბუნებრივია, სოხუმელებს რომ გუნდი არ ჰყოლოდათ, არც შეჯიბრებათა კალენდარში მიუჩენდნენ ადგილს. ეს ასპარეზობები, ისევე როგორც სხვა შეჯიბრებები, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ტარდებოდა. ე. ი. მიზნად ისახავდა არსებული რეზერვების გამოვლენას, ახალი ძალების, ტალანტების აღმოჩენას. ამიტომ იყო, რომ ჩემპიონატის მონაწილე გუნდების შემადგენლობაში გამოცდილ სპორტსმენთა გვერდით ახალგაზრდა და ზოგჯერ ნორჩ წყალბურთელებსაც ვხედავდით.

ჩემპიონატში, ისევე როგორც თასის გათამაშებაში, სამწუხაროდ, არ მონაწილეობდა სოხუმის გუნდი. ამ ქალაქის წყალბურთის მესვეურებმა ვერ უზრუნველყვეს შეჯიბრებაზე გუნდის ჩამოყვანა იმ მოტივით, რომ არა ჰყავთ უფროსი ასაკის წყალბურთელები. მაგრამ ნორჩები? მათ ხომ სწორედ ამგვარ ასპარეზობებში უნდა შეიძინონ გამოცდილება, აიმაღლონ ოსტატობა!

სოხუმელებმა ალბათ იმიტომაც აარიდეს თავი ამ შეჯიბრებას, რომ მათ უთუოდ იმთავითვე გარანტირებული ჰქონდათ სატურნირო ცხრილის უკანასკნელი საფეხური. მათ ხომ არათუ ნორმალური, საერთოდ არა აქვთ ვარჯიშის პირობები. ვერა და ვერ დაადგა საშველი სოხუმის დოსააფის მივიწყებული აუზის მწყობრში ჩადგომას. მხოლოდ ზაფხულობით, და ისიც ზღვაზე ვარჯიშით, ბუნებრივია, ფონს ვერავინ გავა. კაცმა რომ თქვას, ასეთ პირობებში შეუძლებელია მუშაობა. მაგრამ რახან გუნდი არსებობს, შეჯიბრებებშიც უნდა გამოვიდეს. ბოლოსდაბოლოს, თბილისში გამოსვლა, ვიმეორებთ, კარგ სკოლასთან ერთად კარგი ვარჯიშიც იქნებოდა.

ახლა თბილისელ წყალბურთელთა გუნდებზე. როგორც ვთქვით, შეჯიბრებაში უკონკურსოდ დაუშვეს **თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდი,** რომელიც დედაქალაქის „დინამოს“ წევრებისაგან იყო დაკომპლექტებული. მაგრამ ჩემპიონატში „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა როდი მონაწილეობდა. ისინი საზღვარგარეთის ქვეყნებში არიან საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. ამის მიუხედავად გუნდმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ, დანარჩენი მოიგო და ყველაზე მეტი — 9 ქულა მოაგროვა. შედეგიანობით გამოირჩეოდნენ ძმები ზურაბ და დავით [illegible]შვილები, რომლებიც პერსპექტიულ წყალბურთელებად ითვლებიან [illegible] შეჯიბრებამდე [illegible] ოსტატობას. ამიტომაც შეიყვანეს ძმები რესპუბლიკის ნაკრებში, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე გამოვა.

თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის ნაკრების შემდეგ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა **უნივერსიტეტის სპორტკლუბმა,** რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ გუნდი მთლიანად იყო დაკომპლექტებული იმ ბიჭებით, რომლებიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გამოდიოდნენ.

სხვათა შორის, მოსწავლეთა ნაკრებს საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ დაშლა ემუქრებოდა, რადგან განათლების სამინისტროს მწვრთნელები მ. მარგიევი და ს. მაისურაძე სხვაგან გადავიდნენ სამუშაოდ. სწორედ ამ დროს საშური საქმე გააკეთა თბილისის უნივერსიტეტმა, რომელმაც მოსწავლეთა ნაკრები მთლიანად თავის სპორტკლუბში აიყვანა. და აი, საქართველოს ჩემპიონატში უნივერსიტეტელებმა, ფაქტიურად მოსწავლეთა ნაკრებმა, გამარჯვება მოიპოვა.

რესპუბლიკის ჩემპიონატში **პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებმა** II ადგილი დაიკავა. მათ კი მეტი მოეთხოვებათ, ვინაიდან საკუთარი საცურაო აუზი აქვთ, სადაც, ამასთან, სტუდენტთა გარდა არავის უშვებენ.

საყვედური უნდა გამოვთქვათ **ლოკომოტიველთა** მისამართით, რომლებსაც დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მშვენიერი საცურაო აუზი აქვთ, გუნდი მაინც არა ჰყავთ. არადა, აქ ერთ დროს იყვნენ საკმაოდ ძლიერი წყალბურთელები, რომლებიც რესპუბლიკურ შეჯიბრებებში საუკეთესოთა შორის იკავებდნენ ადგილებს. ჰყავდათ პერსპექტიული ბავშვებიც. ეგ კი არა და, ლოკომოტიველთა ყოფილი მოთამაშე არუთინოვი დღეს თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის წევრია.

**„შრომით რეზერვებსაც“** აქვს თბილისში ზამთრის საცურაო აუზი, გუნდი კი არ გააჩნია. ისინი თავს იმით იმართლებენ, წყალბურთი ჩვენი დასაყრდენი სახეობა არაა და არც ფიქრობენ, რომ გახდეს.

**„სპარტაკში“** მხოლოდ ნორჩი წყალბურთელები ჰყავთ, მაგრამ უფროსთა შეჯიბრებებს ახლოსაც არ ეკარებიან.

და ბოლოს, **განთიადელთა** შესახებ. რესპუბლიკის ჩემპიონატში „განთიადის“ ორი გუნდი — ქუთაისისა და ბათუმის წყალბურთელები გამოდიოდნენ. თბილისში კი გუნდი არ ჰყავთ. არადა, „განთიადში“ შემავალი თბილისის საწარმო-დაწესებულებებში არის საცურაო აუზები, სადაც შეიძლება წყალბურთელთა აღზრდა. სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა აღზრდა შეიძლება რუსთავის აუზშიც.

საქართველოს ჩემპიონატის შექმნე წარმოჩენილი ეს ჩრდილოვანი მხარეები მით უფრო სამწუხაროა, რომ არსებობს საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილება, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარების გარდა სპორტსაზოგადოებებს წყალბურთში ბავშვთა ჯგუფების ჩამოყალიბებას ავალებს.

საქართველოში წყალბურთის დღევანდელი მდგომარეობა ყველას გვავალებს დაუყოვნებლივ გაუწოდოთ დახმარების ხელი სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს, თუ გვინდა, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, და არა მხოლოდ იქ, დავიბრუნოთ სახელი.

**ა. გურასაშვილი.**

• • •





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** საქართველოს ჩემპიონი — თბილისის უნივერსიტეტის გუნდი მწვრთნელ ს. მაისურაძესთან ერთად; შეტევა.

ავტორის ფოტო.

# უკეთესი მაჩვენებლით

**სამტრედიის** დოსააფის სასროლეთზე დოსააფის რაიონული კომიტეტისა და განათლების განყოფილების ინიციატივით ჩატარდა მოსწავლეთა საშემოდგომო პირადგუნდური პირველობა ტყვიით სროლაში, რომლის მიზანი იყო რაიონის სპარტაკიადისთვის გუნდების მზადყოფნის შემოწმება. შეჯიბრებაში 13 ნაკრები მონაწილეობდა.

გუნდურ ტურნირში კარგად გამოვიდნენ კორმაღლის, სამტრედიის № 2 და გომის საშუალო სკოლების კოლექტივები, რომლებმაც შესაბამისად I, II და III ადგილები მოიპოვეს.

პირად შეჯიბრებაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა კორმაღლის საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ნიკოლეიშვილმა, რომელმაც 100-დან 93 ქულა მოაგროვა. გოგონათა შორის იმარჯვა ქალაქის № 2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. სოხაძემ — 88.

აღსანიშნავია, რომ ახლანდელი შედეგები ბევრად სჯობდა გაზაფხულზე ჩატარებულ ანალოგიურ ტურნირში მოპოვებულ მაჩვენებლებს. პრიზიორთა გარდა კარგი გუნდები გამოიყვანეს სამტრედიის რკინიგზის № 24, ილორის, ქალაქის № 3 საშუალო სკოლების კოლექტივებმა. სამწუხაროდ, ამჯერად სასროლეთზე ვერ ვიხილეთ საგაზაფხულო ტურნირში სოფლის სკოლებს შორის გამარჯვებული [illegible] რის სკოლის ნაკრები. შეჯიბრებას თავი აარიდეს, აგრეთვე, საჯავახოს, ოფეთის, ნაბაკევის, ბანძისა და ლანჩხუთის სკოლების [illegible]ლეებმა.

**ი. ნიკოლეიშვილი.**







# ახალი საფეხბურთო გაზაფხულისკენ

**წარსულის** კუთვნილება გახდა ფეხბურთი-78. საბჭოთა გუნდებმა მოამთავრეს საკუთარი ჩემპიონატიც და ევროპულ ტურნირებსაც მიუზღეს იმდენი, ვისაც რამდენი და როგორც შეეძლო. სპეციალისტებისა და ჟურნალისტების მეტმა წილმაც თქვა სათქმელი. შეჯამდა, შეფასდა წლევანდელი მონაგარი, ბევრმა სამერმისო გზებიც დასახა.

თავისი მიეზღოთ ჩემპიონსა და პრიზიორებს, განსაკუთრებით ჩემპიონს (ბუნებრივია — გუნდს, რომელმაც ორი წლის წინათ 2 ბრინჯაო მოიპოვა, შარშან მეორე იყო, წლეულს კი დამაჯერებლად მოიგო ჩემპიონატი, ბევრს ვერაფერს უსაყვედურებ), მაგრამ ზოგიერთი კომენტატორის სიტყვები, საბჭოთა ფეხბურთის წლევანდელ წარუმატებლობაზე საკმაოდ დაურიდებლად და უხვად რომ იხარჯებოდა, მართალია ირიბად, შეფარვით, მაგრამ მაინც აუფერულებს თბილისელთა საჩემპიონო მედლების ელვარებას. მეტიც, ნაკრებისა და ჩვენი საკლუბო ფეხბურთის უსუსური გამოსვლის პასუხად „დამნაშავეთა სიაც“ კი შედგა, რომელშიც ახალი ჩემპიონი და მისი მწვრთნელებიც მოხვდნენ. რა თქმა უნდა, როცა საერთოდ საბჭოთა ფეხბურთზეა საუბარი, პასუხისმგებლობა თითოეულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს ეკისრება, თუმცაღა ერთიც არის — საყვედურსაც აქვს ზომა-წონა და მისამართებიც „დამსახურების“ მიხედვით, ფრთხილად უნდა დაიძებნოს. ერთ ქვაბში ხარშვის პრინციპი გაუგებრობისა და ვითარების კიდევ უფრო გაბუნდოვნების მეტს ვერაფერს გამოიწვევს.

არადა, მართლაც ფაქტია, რომ ჩვენი ფეხბურთი ერთობ ჩამორჩა. და თუ სერიოზულად ვაპირებთ საუბარს, დროებით განზე უნდა გადავდოთ ის წვრილი პრობლემები, ხშირად პირველხარისხოვნად რომ გვეჩვენება, თვალი მოვავლოთ საფეხბურთო ცხოვრების საკმაოდ დიდ მონაკვეთს, მოვნიშნოთ კრიზისის (სწორედ კრიზისი და არა ერთი და ორი წლის წარუმატებლობა) ვადები და მიზეზები.

დავიწყოთ საკლუბო ფეხბურთით. რა სათქმელია, რომ კლუბების სიავკარგე თავისთავად განაპირობებს, განსაზღვრავს ნაკრების სახესაც და ძალასაც.

აი, ამ ძირითად უბანზე საამაყო კი არა, ხელჩასაჭიდიც არაფერი გვაქვს. მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდები ევროპულ ტურნირებში ჩაებნენ, სასიქადულოს არაფერს მოვწევივართ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საკლუბო ფეხბურთი აუტსაიდერის როლშია. უთუოდ შემახსენებენ კიეველთა მიერ თასის მფლობელთა თასის მოპოვებას. ეს მართლაც დიდი წარმატება იყო, მაგრამ ის ერთადერთია და მით უფრო ძნელია ეს წარმატება მთელი საბჭოთა საკლუბო ფეხბურთის დონის განმსაზღვრელ საზომად გამოვიყენოთ. ასეთი გამარჯვებები მრავლად მოეპოვებათ ინგლისის, გფრ-ის, იტალიის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და ბელგიის გუნდებს. სხვათა მოუხსენებლადაც ჩვენი საკლუბო ფეხბურთი უკვე ექვსეულს მიღმა რჩება. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ის ერთადერთი გამარჯვებაც ფაქტიურად ყველაზე სუსტი შემადგენლობის ტურნირშია მოპოვებული. ჩვენი გუნდების ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის ისტორია საკმაოდ ვრცელ პერიოდს სწვდება. ასე რომ საკლუბო ფეხბურთის წარუმატებლობაზე საუბარი ახალი ხილი არ უნდა იყოს.

ნაკრებს რამდენადმე უკეთესი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ ეს შედეგებიც 10 წელიწადზე მეტი ხნისაა, მათ შორის საუკეთესო კი 18 წლის! 1960 წელს ევროპის თასის მოპოვების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები მეთოდურად აუარესებს შედეგებს. ეს დაღმასვლა 60-იან წლებზე მოდის. მაშინ და მერეც თითოეული წარუმატებლობა ლოკალურად განიხილებოდა, ბრალი ხან მწვრთნელებს, ხან ცალკეულ ფეხბურთელს ედებოდა. არავის დაუძრავს სიტყვა მთლიანად ჩვენი ფეხბურთის კრიზისზე. ეს კრიზისი კი დაწყებული იყო და მისი შედეგები ამ ბოლო 8 წელიწადმა საკმაოდ ნათლად გამოაჩინა. უეჭველია, მას თავისი მიზეზებიც ჰქონდა და ის ფაქტი, რომ დღეს საერთაშორისო სტანდარტებს საკმაოდ ჩამოვრჩით, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ კრიზისის ნამდვილი მიზეზები ან ვერ მოიძებნა, ანდა უყურადღებოდ დარჩა.

ახლა, წლების სამზერიდან, ყველაფერ ამაზე საუბარი, რა თქმა უნდა, იოლია, მაგრამ ვშიშობ, რომ გულახდილი, საყოველთაო საუბრის მსურველნი დღესაც ცოტანი არიან. ხშირად გამოსავალს ისევ მწვრთნელების შეცვლაში, კალენდარსა და ქულათა ჩათვლის სისტემაში, ანდა უფრო წვრილმან საკითხებში ეძებენ.

სამოციან წლებამდე და კიდევ ერთხანს ჩვენი ფეხბურთი უთუოდ გამორჩეული იყო ბრძოლისუნარიანობით. საკმაო პატივში იყო ტექნიკური ფეხბურთი და ტექნიკური ფეხბურთელიც. წლები გადიოდა. ევროპის გუნდები თანდათან გაგვისწორდნენ ფიზიკურ გამძლეობაში, ზოგმა გაგვისწრო კიდეც, მაგრამ ეს ტექნიკური და ტაქტიკური გაუმართაობის ხარჯზე არ გაკეთებულა. ჩვენთან კი ამ დროს უცნაური რამ ხდებოდა. ერთბაშად გერის როლში აღმოჩნდა ტექნიკური ფეხბურთიცა და გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე ფეხბურთელებიც. ეს იგრძნობოდა უშუალოდ მინდორზეც, მეტოქე მცველთა, მსაჯთა და კომენტატორთა დამოკიდებულებაშიც კი. ნაკრების კარი ყრუდ დაიგმანა ასეთებისთვის. სიტყვები „ინდივიდუალისტი“ და „ტექნიკური“ მწარე იუმორის სამიზნედაც კი იქცა. ყველაფერი, თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტი ერთმა სიტყვამ — კოლექტივიზმა შთანთქა. თქმა არ უნდა, ასეთი ფეხბურთი გარკვეულ დრომდე, გარკვეულ საზღვრებში მართლაც აღწევს წარმატებას, მაგრამ მხოლოდ დროებითს, არც ისე მნიშვნელოვანს და რაც მთავარია, უკან ეწევა ფეხბურთს. თუნდაც იმიტომ, რომ ოსტატობა მუდმივი ნიშანია და მისი უსაზღვროდ განვითარებაც შეიძლება. მხოლოდ კოლექტივიზმზე დაფუძნებულ ფეხბურთს კი გამუდმებით ემუქრება მოშლა — საკმარისია ერთადერთმა დეტალმა გიმტყუნოს. ასეთ კოლექტივს, რომ იტყვიან, თუ თამაში „არ წაუვიდა“, მერე ძნელად რომ რამე ეშველოს, ოსტატი კი ნებისმიერ ვითარებაში უთუოდ იტყვის თავისას.

მაინც ვინ დაიწყო ეს დამღუპველი კამპანია? რა თქმა უნდა, იმან, ვისაც იმ ხანებში ასე თუ ისე უჭირდა. უჭირდა იმ გაგებით, რომ ჩვეული წარმატებები ისე იოლად აღარ მოდიოდა.

გადავხედოთ ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების ჩემპიონატების შედეგებს. სურათი მკვეთრად განსხვავებულია. 1960 წლამდე აშკარაა მოსკოვის გუნდების ჰეგემონია. მერე კი თანდათან იმაღლებენ ხმას აქამდე ასე თუ ისე ჩრდილში მდგომი კოლექტივები. ორჯერ იგებს თასს „შახტიორი“, ჩემპიონი ხდება თბილისის „დინამო“, კიევის „დინამო“, ვოროშილოვგრადის „ზარია“, თასსა და ჩემპიონის მედლებს ეუფლება ერევნის „არარატი“. აქ ჩამოთვლილი კოლექტივებიდან ყველაზე მეტი მაინც კიეველებმა, თბილისელებმა და ერევნელებმა შეიძლეს! ნიშანდობლივია, რომ არც ერთი მათგანი ტექნიკური ფეხბურთის მოძულე არ ყოფილა და ბუნებრივია, უკიდურესი კოლექტივიზმისა და ძალისმიერი თამაშის პროპაგანდისტადაც ვერ იქცეოდა. ამგვარი თამაში შეითვისეს და იარაღად გაიხადეს იმათ, ვინც ძველ პოზიციებს ვაი-ვაგლახითღა ინარჩუნებდა. საუბარია მოსკოვის ხუთეულზე. გულშემატკივარს სადაცაა დაავიწყდება ძველი „დინამო“, „სპარტაკი“, ცსკა, „ტორპედო“. ამ გუნდებმა წმინდა საფეხბურთო ძალაც დაკარგეს და საკუთარი ხელწერაც. „ტორპედო“ ღია, ტექნიკური თამაშის მოყვარული გუნდიდან „მახრჩობელად“ იქცა, „დინამომ“ მხოლოდ შეუპოვრობაღა შეინარჩუნა, „სპარტაკი“ სისწრაფის და ენთუზიაზმის ხარჯზე ცდილობს ფონს გასვლას, ცსკა-მ კი საერთოდ დაჰკარგა მოწინავე კოლექტივის სახე. ამ ორ უკანასკნელ გუნდს და მოსკოველ რკინიგზელებს კარგა ხანია ერთადერთ საფიქრალად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუხდიათ.

კიეველებსა და თბილისელებს როგორც ადრე, ახლაც შეუძლიათ ნაკრებისთვის რამდენიმე საერთაშორისო კლასის ფეხბურთელის მიცემა. რა თქმა უნდა, აქა-იქ ამ გუნდებსაც ჰქონდათ კრიზისი, მაგრამ საერთო ჯამში არც უკრაინული და არც ქართული ფეხბურთი უკან არ წასულა. დიდი დაკვირვება და ცოდნა არ არის საჭირო, რომ ითქვას: ნაკრები გუნდის ის საშტატო ერთეულები, ადრე სავსებით დამსახურებულად რომ ეკავათ მოსკოველ ფეხბურთელებს, ბოლო წლებში ან კიეველებით ივსება, ან ნაძალადევად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, ხან ერთით, ხან მეორეთი, რადგან სხვა გზა მაინც არ არის — საფეხბურთო კოლექტივს ხომ თხუთმეტამდე კაცი მაინც სჭირდება. ამ 18 წელიწადში თუ რამე მოაკლდა ჩვენს ნაკრებს, პირველ ყოვლისა მოსკოვის გუნდების მიზეზით. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტორია, რადგან უმაღლესი ლიგის ბინადართა თითქმის მესამედს სწორედ ისინი შეადგენენ და თუ რაიმე ვალზე ან მოთხოვნაზეა საუბარი, ჯერ „დინამოს“, „სპარტაკის“, „ტორპედოს“, ცსკა-სა და „ლოკომოტივის“ მწვრთნელებს უნდა შევახსენოთ ეს ვალი და მოვთხოვოთ კიდეც.

ლიდერისგან საერთაშორისო არენაზე ითხოვენ გამარჯვებას (აქამდე კიეველებს თხოვდნენ, ახლა თბილისელთა რიგიც დადგა). ეს კანონზომიერია, მაგრამ რატომღაც გვავიწყდება, რომ ეს ლიდერი წლების განმავლობაში ერთობ მდარე ხარისხის ფეხბურთთან არის კონტაქტში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მანამდე, სანამ ქვეყნის ჩემპიონატში 5-6 კარგი კოლექტივი მაინც არ მოიყრის თავს, რაიმე სერიოზულ წინსვლაზე ფიქრიც ზედმეტია. შესაძლებელია ეს თუ არა? დროთა განმავლობაში ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში ამ საკითხის მოგვარება ერთობ პრობლემატური ჩანს. პერიფერია ჯერ მხოლოდ იდგამს ფეხს (იგულისხმება საფეხბურთო პერიფერია), მოსკოვის გუნდებს კი თავიანთი გასაჭირი აქვთ. მაინც რამ დააკნინა ეს ფეხბურთი? ჰიპოთეზის სახით ერთ მოსაზრებას გამოვთქვამ. ამაზე ხშირად გამიგონია, მაგრამ კულისებსმიღმა საზღვრებს ეს საუბარი არ გასცდენია.

მოსკოვის გუნდების კრიზისის დასაწყისი იმ პერიოდს ემთხვევა, როცა იფეთქა ეგრეთ წოდებულმა ჰოკეის ბუმმა. სავარაუდოა, რომ ჰოკეის გარშემო შექმნილმა აჟიოტაჟმა შთანთქა კიდეც ფეხბურთი. ათასობით რუსმა ბიჭუნამ, ვისაც ფეხბურთელობა რომ ეწერა, ჰოკეის სექციას მიაშურა. მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო — ყინულის სარბიელზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა თავისკენ გადასძალა სპორტის მოყვარულთა და მესვეურთა ყურადღებაც.

თუმცა, ეს მაინც ჰიპოთეზაა და ასეც არ იყოს, არამკითხე როლში რომ არ აღმოვჩნდეთ, ისევ ჩვენს შინაურ საქმეებს მივუბრუნდეთ.

თბილისის „დინამო“. ამ გუნდზე საკმარისად ითქვა და მრავალსიტყვაობა ბევრს ვერაფერს შესძენს ნათქვამს. კოლექტივს წლეულს ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. მარტო იმის გახსენება, რომ დაცვაში რვა ფეხბურთელმა ითამაშა (ტრავმებით გამოწვეული იძულებითი ცვლილებები), აშკარად ლაპარაკობს ამ სიძნელეებზე. თითქმის ნახევარი სეზონი არ უთამაშიათ კოსტავასა და დარასელიას, არა ერთი და ორი მატჩი გააცდინეს ყიფიანმა და ხინჩაგაშვილმა. და მაინც, თბილისელებმა დამაჯერებლად, ერთი შეხედვით იოლადაც მოიგეს ჩემპიონატი. არადა, საამისო წინამძღვრები უკვე გამოიკვეთა შარშანწინ, შარშან კი ეს იმედი უფრო საფუძვლიანი გახდა.

უეჭველია, საქართველოს პირველი საფეხბურთო კოლექტივი სწორ გზაზეა. გუნდი ახლა ტრადიციის მყარ და ნოყიერ ნიადაგზე დგას, ამავე დროს ცდილობს შეითვისოს ყველაფერი, რაც პროგრესულია. სამწლიანი აღმასვლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მოხერხდა ამ საინტერესო სინთეზის განხორციელება და ის ფაქტი, რომ ეს სინთეზი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მოლოდინითა და იმედით გვახედებს ახალი საფეხბურთო გაზაფხულისკენ.

ი. ბერიაშვილი.

• • •

**ეს ფოტოსურათები**, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა გადაიღო, ასახავენ განვლილი საფეხბურთო სეზონის მატჩების მომენტებს თბილისის დინამოელთა მონაწილეობით.






# პრეზიდენტი ყოყმანობს...

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით, რომ მადრიდში მუშაობა დაამთავრა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირი, ამას გარდა აღმასკომმა განიხილა სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც.

ფიფა-ს პრეზიდენტის ჟ. აველანჟის წინადადებით 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცდა გ. ნოიბერგერი. ვ. გრანატკინი (სსრ კავშირი) ხელმძღვანელობს სამოყვარულო ფეხბურთის კომისიას, ა. ფრანკი (იტალია) — მსაჯთა კომიტეტს, ჰ. კვავნი (ჩრდილოეთ ირლანდია) — ტექნიკურ კომისიას, მ. ანდრეევიჩი (იუგოსლავია) — სამედიცინო კომისიას, ა. მუსტაფა (ეგვიპტე) — დისციპლინარულ კომისიას, გ. კანედო (მექსიკა) პრესის კომისიის შეფია.

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტის საკითხი განხილული იქნა ძალზე ვიწრო წრეში. როგორც ცნობილია, გადაუჭრელი დარჩა ის მთავარი საკითხი, თუ რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში — 16, 20 თუ 24, მაგრამ როგორც ფრანგული გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, ამჟამად არსებული ფორმულის (16 გუნდი) მონაწილენი აშკარა უმცირესობაში იმყოფებიან. დაბრკოლება იმაშია, რომ მათი ოპონენტები ვერ შეთანხმებულან არჩევანი რა რაოდენობაზე გააკეთონ — 20-ზე თუ 24-ზე. ყოყმანობს თვით ფიფა-ს პრეზიდენტიც.

# ჩვენს მკითხველებს

1978 წელი, რომ იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდა. იგი მალე ისტორიის კუთვნილება გახდება და აღინუსხება, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღსავსე მონაკვეთი დროისა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას, ხალხს წარმატებები მოუტანა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სპორტში.

სულ მალე კი სტარტს აიღებს ახალი 1979 წელი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის, რადგან სწორედ ამ წელს ჩატარდება საბჭოთა სპორტის დიდი ფორუმი — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა.

ჩვენი გაზეთის რედაქცია, როგორც წინათ, ისე მომავალ წელსაც შეეცდება ფართოდ გააშუქოს რესპუბლიკისა და ქვეყნის სპორტული ცხოვრება, ჩვენი სპორტსმენების, გუნდების გამოსვლები საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, დაიბეჭდება იმ პრობლემათა შესახებ, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინსვლას, პროპაგანდას გაუწევს ყოველივე ახალს, პროგრესულს...

ახალი წლის წინ „ლელოს" რედაქცია მიმართავს თავის მკითხველებს თხოვნით, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება და წინადადებანი გაზეთის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების გზების შესახებ. თქვენი სურვილები და რჩევები დაგვეხმარება, რომ „ლელო" უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდეს.

მაშ ასე, გთხოვთ გვიპასუხოთ რამდენიმე კითხვაზე:

1. რა მოგწონთ გაზეთში? რა მასალები უფრო დაგამახსოვრდათ მიმდინარე წელს?

2. რა არ მოგწონთ?

3. რა სტატიები, ახალი რუბრიკები გსურთ ნახოთ მომავალი წლიდან „ლელოში"?

4. თქვენი სურვილები გაზეთის გაფორმების შესახებ.

ანკეტაზე პასუხები გთხოვთ გამოგზავნოთ 1978 წლის 25 დეკემბრამდე.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია.



მოლდავეთის ქალაქებში — ბენდერსა და ტირასპოლში ამას წინათ მოეწყო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საკავშირო გათამაშება ფეხბურთში.

[illegible] მონაწილეობდა 2 [illegible] „განთიადმა" ფრედ ითამაშა [illegible] „ენბექთან", ლიტვის „ჟალგირისთან", უკრაინის „ავანგარდთან" (0:0), აზერბაიჯანის „ნეფთჩისთან" (1:1), დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი" (2:0), სოფლის სპორტსაზოგადოებათა გაერთიანებული ნაკრები (3:0) და „კრასნოე ზნამიას" ნაკრები (1:0). თბილისელებმა თავიანთ ჯგუფში დაიკავეს II ადგილი, შემდეგ კი III ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს ლატვიის „დაუგავა" — 4:0. ტურნირში საბოლოო ადგილები ასე განაწილდა: „ზენიტი", „ავანგარდი", „განთიადი".

საუკეთესო თავდამსხმელის პრიზით დაჯილდოვდა „განთიადის" მოთამაშე ტ. კირთაძე.

**ს უ რ ა თ ზ ე:** თბილისის „განთიადის" ახალგაზრდა ფეხბურთელთა კოლექტივი.

## ფეხბურთი

### პირველი მატჩი

**გუშინ** ფოთში შედგა პირველი გადასასვლელი მატჩი ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონს — ადგილობრივ „კოლხეთსა" და II ლიგის წარმომადგენელს — ბათუმის „დინამოს" შორის. დავა წარმოებს გაისად II ლიგაში თამაშის უფლების მოპოვებაზე.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

### საქალაქო სუპერთასი

**დღეს** თბილისის არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე შედგება საინტერესო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი და „უშბა". მათ უნდა გაითამაშონ თბილისის ჩემპიონისა და თასის მფლობელის 1978 წლის სუპერთასი. დასაწყისი 13 საათსა და 30 წუთზე.

## მ ო კ ლ ე დ

**ბელგიის** ცნობილი კლუბი „ანდერლეხტი" ჭეშმარიტად ინტერნაციონალური გუნდია. ამას წინათ, ერთი და იმავე დღეს, მისი მოთამაშეები 3 ეროვნულ ნაკრებში გამოდიოდნენ. ბელგიისა და პორტუგალიის გუნდების მატჩში (1:1) გამოდიოდა „ანდერლეხტის" 4 მოთამაშე, ჰოლანდიის და შვეიცარიისა (3:1) — კიდევ 4 და დანიისა და ბულგარეთის გუნდების მატჩში (2:2) — 1.

**ურუგვაის** ფეხბურთის ფედერაცია მომავალი წლის დასაწყისში მონტევიდეოში ატარებს ექსპერიმენტულ ტურნირს, რომლის განმავლობაში მსაჯები მიმართავენ ახალ წესს: ყვითელი და წითელი ბარათების გარდა გამოიყენებენ ლურჯ ბარათებსაც, რაც ნიშნავს მოთამაშის გაძევებას მინდვრიდან 10 წუთით.



**ისლანდიის** ნაკრების ფეხბურთელმა პ. პეტერსონმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ჰოლანდიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებთან. იგი მაშინვე შეიძინა როტერდამის „ფეიენოორდმა".

**ცნობილი** მწვრთნელი რ. მიხელსი, რომელიც სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ჰოლანდიის ნაკრებს, ამსტერდამის „აიაქსს" და მადრიდის „რეალს", ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც წვრთნის ლოს-ანჯელესის პროფესიულ კლუბ „აცტეკს".

### სურთ ისარგებლონ მომენტით

არგენტინელ მილიონერთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის მარიო კემპესის გამოსყიდვა რა თანხადაც არ უნდა დაჯდეს ეს. ესპანეთის „ვალენსია", სადაც ამჟამად თამაშობს კემპესი, ვალებში აღმოჩნდა და სწორედ ეს გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი. რაც შეეხება თვით კემპესს, იგი ახლა იღებს ფილმს — „ფეხბურთი და მე".

### ფულის უზარმაზარი მთა

**ბრაზილიელმა** დეპუტატმა ხ. მორისიომ, რომელიც ოპოზიციური პარტიის — ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელია პარლამენტში, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოითხოვა შექმნილიყო სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელსაც დაევალებოდა შეემოწმებინა, თუ როგორ იქნა დახარჯული ქვეყნის ფეხბურთის ნაკრებისათვის გამოყოფილი სახსრები.

დეპუტატი გაკვირვებულია, რომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის ბრაზილიის ნაკრების მომზადებას დასჭირდა არც მეტი, არც ნაკლები... 60 მილიონი დოლარი. „ეს ხომ ფულის უზარმაზარი მთაა" განაცხადა მან. ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ხარჯთაღრიცხვა.

## თხილამურები

### ახალ სეზონში

**ფართო** და საინტერესო მოთხილამურეთა წინაოლიმპიური სეზონის კალენდარი.

ტრადიციულად, დეკემბრის ბოლოს, ქვეყნის ნაკრების კანდიდატები იმედის მომცემ ახალგაზრდა სპორტსმენთა ერთ ჯგუფთან ერთად სტარტს აიღებენ მოსკოვის ოლქის ქალაქ კრასნოგორსკში. იანვრის პირველ რიცხვებში ლენინგრადის მახლობლად გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო „კავგოლოვოს თამაშები", 24-27 იანვარს კი რიბინსკში გაითამაშებენ სსრ კავშირის თასს.

ისე, როგორც ორი წლის წინ, საკავშირო ჩემპიონატი სიქტივკარში ჩატარდება (18-26 მარტს), ხოლო სეზონი დამთავრდება სტაიერების სტარტებით აპატიტსა და კანდალაქშაში.

ახალ სეზონს თავისებურებანი აქვს. ჩვენი წამყვანი სპორტსმენები პირველად მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიოს თასის მრავალტურიან გათამაშებაში. მის პროგრამაშია შეჯიბრებები სხვადასხვა ქვეყანაში. ტურნირი დაიწყება ახალი წლის წინ გფრ-ში, სადაც 5-კილომეტრიან ტრასაზე ქალები გამოვლენ. შემდეგ ისინი კავგოლოვოში იასპარეზებენ: ვაჟები — 30 კილომეტრზე, ქალები — 10 კილომეტრზე.

რამდენიმე დღის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენი ქალები შეხვდებიან ათკილომეტრიან ტრასაზე კლინგენტალში (გდრ), მერე კი ასპარეზობა შვეიცარიაში გადაინაცვლებს (10 და 15 კილომეტრი). მსოფლიოს თასების გათამაშების შემდეგი ეტაპი შვეციაშია (ფალუნი), სადაც სპორტსმენებს 20 და 30-კილომეტრიანი დისტანციები ელოდებათ. 3-4 მარტს მოთხილამურეებს მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის დედაქალაქი ლაჰტი (ფინეთი) უმასპინძლებს. აქ, ისევე როგორც შემდეგ ოსლოში, გაიმართება ასპარეზობა 10 და 50 კილომეტრზე. თებერვლის პირველ დეკადაში ლეიკ-პლესიდში (აშშ) მოეწყობა „წინაოლიმპიური კვირეული".

მსოფლიოს თასების გათამაშებაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან ყველა ამ საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩატარების შემდეგ (ხუთი საუკეთესო შედეგის ჯამით).

საბჭოთა ნაკრების კანდიდატები ამთავრებენ წინასასეზონო მზადებას და უკვე რამდენიმე არაოფიციალურ შეჯიბრებაშიც გამოვიდნენ. რ. სმეტანინამ, ზ. ამოსოვამ, ნ. ბალდიჩევამ, გ. კულაკოვამ, გ. როჩევმა, ნ. ზიმიატოვმა, ე. ბელიაევმა, ს. საველიევმა, ა. ზავიალოვმა მომზადების კარგი დონე გამოავლინეს, რაც წარმატებითი სეზონის გარკვეულ იმედს გვაძლევს.

## ხელბურთი

**ოლიმპიურმა** ჩემპიონმა — სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო VII მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში ტრნავაში, გოტვალდოვსა და ხებში მიმდინარეობს — ანგარიშით 26:12 (15:7) მან დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი. ამ მატჩში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კიეველები ზინაიდა ტურჩინა და ტატიანა კოჩერგინა (მაკარეცი), რომლებმაც ხუთ-ხუთი ბურთი გაიტანეს. ერთი ბურთით მეტი აქვს ჰოლანდიელ ჰანი დე კოკს.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელიც ქვეჯგუფში საბჭოთა გუნდთან ერთად გამოდის, დიდი ანგარიშით — 31:5 მოუგო ალჟირის გუნდს.

სიურპრიზების გარეშე დამთავრდა შეხვედრები სხვა ქვეჯგუფებშიც: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გდრ-ის ნაკრებმა ანგარიშით 13:9 მოუგო რუმინეთის გუნდს, იუგოსლავიამ — სამხრეთ კორეას — 28:21, უნგრეთმა — გფრ-ს — 25:13, პოლონეთმა — კანადას — 28:16.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში პირველ ხუთ ადგილზე გამოსული გუნდები მოსკოვის ოლიმპიადის საგზურს მიიღებენ. ეს გარემოება განსაკუთრებულ ინტერესს მატებს ჩემპიონატს.

* * *

**ტრნავა, 2 დეკემბერი.** საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ალჟირის გუნდი — 23:5 (13:1) და ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელებთან ერთად ამ ქვეჯგუფიდან ფინალურ ექვსეულში გავიდა.

## რეგბი

**საფრანგეთის** ნაკრებმა კონტინენტის ჩემპიონატის II ტურის შეხვედრა შინ ჩაატარა — პარიზში უმასპინძლა პოლონეთის ნაკრებს და დაამარცხა იგი — 26:12 (12:3). ახლა ევროპის თორმეტგზის ჩემპიონს ორი მატჩის მერე 6 ქულა აქვს და გათამაშების ლიდერია. მას ქულით ჩამორჩება პოლონეთის ნაკრები (ამ ქვეყნის რეგბისტებმა 3 შეხვედრა გამართეს). საბჭოთა სპორტსმენები 4 ქულით (2 ტურის შემდეგ) II ადგილზე არიან.

### 4-5 დეკემბერს

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, თბილისის ფიზიკური კულტურის საქალაქო კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის სახალხო უნივერსიტეტი აწყობენ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარს თემაზე:

**„ოლიმპიადა 80"**

თათბირ-სემინარი გაიხსნება 4 დეკემბერს, დილის 11 საათზე ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში (წერეთლის, 2).

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 48-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო" — 6-49-დან:**

**პირველი:** 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 30 (აფროსნობა), 31 (ცურვა), 35 (სპიდვეი), 43 (ფარიკაობა), 44 (ფიგურული ციგურაობა). შეღავათიანი ბურთულა — 16 (ტანვარჯიში).

**მეორე:** 6 (კალათბურთი), 14 (ფრენბურთი), 16 (ტანვარჯიში), 26 (მოტობურთი), 44 (ფიგურული ციგურაობა), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 22 (ციგურები).

**„სპორტლოტო" — 5-36-დან:**

**პირველი:** 7 (ველოტრეკი), 21 (აფროსნობა), 23 (წყალში ხტომა), 31 (ძალოსნობა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

**მეორე:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ველოტრეკი), 18 (მძლეოსნობა), 31 (ძალოსნობა).

### მხიარული ფანქრით




ა. ოქროპირიძის ნახატი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-07-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-07-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-07-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-07-55; სპორტის პროპაგანდის — 93-07-61; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-07-58; შადრაკის — 93-07-26; სამხატვრო — 93-07-59; წერილების — 93-07-54; კორექტორები — 93-07-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-07-58; მემანქანეები — 93-07-57.